# სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასი

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
| --- | --- |
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეექვსე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება თფილისში «სახალხო გაზეთის» რედაქციაში, კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დებულირის) სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესით. Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Энфіаджіанца и к°.

№ 10 სამშაბათი VI 30 მაისი 183 წ.

შინაარსი

ახსნა საბანკო დებულებისა, — მუშა ხალხის სიმრთელის შენახვაზე, — საზოგადო სამუშაო, — ერთად მუშაობა, — ანგარიში ფისის სახდელი ქარხნების გამართვაზე, — ანგარიში ქარხნის შემოსავალ გასავალზე:

## ახსნა საბანკო დებულებისა *)

მუხლი ოცდამეშვიდე და ოცდამერვე §§ 27 28. რაც საამხანაგო ბანკს ვალი აქვს აღებული ყოველშივე ამხანაგებმა პასუხი უნდა გასცენ თავისის საამხანაგო შეტანილი წილითა და კიდევ თავისის სხვა ქონებითა. ბანკის დებულების ამ ორ მუხლში არის ის წესი, როგორ უნდა პასუხი გასცენ ამხანაგებმა ვალის პატრონსა და ამისათვის ეს მუხლები მეტი-მეტათ საჭირო და უპირველესი რამ არის ამხანაგობისათვის. ეს მუხლები ამხანაგობას სულს უდგამს და უამისოთ საბანკო დებულებას ამხანაგობას აღარ ეგვანება =, თუ წესი არ იქნება, როგორ უნდა გადაახადოს ამხანაგობამ ვალი, რასაკვირველია ვალის აღებაც არ შეუძლია და ამისაგმოც რაც ამხანაგობას სურვილი აქვს იმ სურვილსაც ვერ აისრულებს.

რადგანაც ეს ორი მუხლი დიდი საჭირო და უმთავრესი რამ არის მთელ დებულებაში ამისათვის კარგათ უნდა გავარკვიოთ და ავხსნათ. რომ ყველა ამხანაგმა კარგა გაიგოს ეს საფუძველი. რომელი ამხანაგიც ამ მუხლებს კარგა არ შეიტყობს, ცუდი ამხანაგი იქნება საბანკო ამხანაგობაში.

ამხანაგების პასუხის გება რომ გავარჩიოთა ორათ უნდა გავყოთ. პირველათ ის უნდა გავშინჯოთ, რა და რა შემთხვევაში უნდა იყოს პასუხის გება და მეორეთ ის უნდა გავშინჯოთ, პასუხის გება რასა ჰქვიან, პასუხის მგებელს რა ვალდებულება ედება? პირველი საქმე, რომ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პასუხის გებაო, ეს ამიტომ უნდა გავარჩიოთ, რომ პასუხის მგებელობაც კარგა შეიტყოს ამხანაგმა, ისე შეიტყოს, როგორც სწორეთ არის და ტყვილათ მეტის-მეტის საფიქრებელი და საშიშო არ ეგონოს.

ა) ყველაზე წინათ ეს უნდა დავიხსომოთ, რომ ამხანაგობა პასუხის მგებელი როდია იმ ვალისათვის, რასაც ამხანაგები თითოობით იღებენ ბანკიდგანა, ამიტომ რომ ამხანაგებმა ეს ვალი ისევე თითონ უნდა გადაიხადონ თითოეულათ. ამხანაგობა მარტოკა იმ ვალის პასუხის გებაშია, თუ გარეშე ადგილიდგან ფული აუღია ბანკისათვის. ეს ფულიც მაინცა და მაინც ხომ კიდევ თავის ამხანაგებისთვის სათვითაოთ სასესხებლათ იქნება აღებული და ისევ თითო ამხანაგმა უნდა გაიხადოს თავისი ვალი, აქაც პასუხის მგებელი არა ხდება. პასუხის მგებელი მაშინ გახდება, თუ ეს სათვითაოთ ამხანაგის ფული დაიკარგა, ან კიდევ თუ ბანკისათვის ამხანაგობის ამორჩეულმა გამგებელმა კაცებმა კარგათ ანგარიშიანათ არ გასცეს ფული, არ იფიქრეს, რომ ამა და ამ დროს ვადაზე ბანკს ვალის გადახდა დასჭირდებაო, და უანგარიშობის გამოდანიშნულ ვადაზე თუ ფული დააკლდა, ამხანაგობა მაშინ პასუხისგებაში ვარდება. აგრეთვე თუ წლის ანგარიშის გასწორების დროს გამოჩნდა, რომ ამხანაგობას ბანკის აღებ-მიცემის საქმეებში ზიანი მოსდის, ამაშიაც პასუხის მგებელია. ამ სახით ყველა ამაში ვხედავთ, რომ თუ რამე ზიანი მოუვიდა ამხანაგობასა და პასუხის მგებელი ხდება, ეს ზიანი და პასუხის გება უეცარი შემთხვევა კი არ არის, ეს სულ იმისაგან მოხდება, რომ ამხანაგები კარგათ თვალყურს არ ადევნებენ საქმესა, ახალი ამხანაგის მიღების დროს კარგის გარჩევით არ ამოარჩევენ ამხანაგებსაცა და ბანკის გამგებელ კაცებსაც უშვებელი საქმეა, რომ რაც უნდა სიფრთხილე იხმაროს კაცმა, ცოტაოდენი ზიანი ყოველ საქმეში მოხდება; ზოგიერთი ამხანაგის ნაალერგულობით ბანკს იქნება თოდისმე ცოტაოდე ზიანი მიეცეს მაგრამ ამ გვარი შემთხვევის ზიანისათვის საამხანაგო ბანკში ყოველთვის სათადარიგო (ზაპასის) ფულია შენახული და ამ ფულით უნდა შეივსოს ზიანი. ამ მოხსენებულის აზრებისაგან ის უნდა გამოვიყვანოთ, რომ ამხანაგების ყველას თავდებობა მართალია ხარჯის და პასუხის გაცემისთვის კი არ არის, ფრთო იმისთვის არის, რომ ბანკი

(* თავი იწყება პირველიის ნომრიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამხანაგობა მტკიცე შეიქნას და ნდობა ჰქონდეს. პასუხის გაცემა ათასში ერთხელ რომ მოხდეს ძალიან იშვიათი საქმე იქნება. რამდენი ბანკია რუსეთში და პასუხის გაცემა არცერთს არ დასჭირებია.

ბ) მეორე საქმე ის არის, რომ შევიტყოთ, პასუხის გაცემა ამხანაგებისა რით უნდა იყოს. არც აქამდინ რუსეთში ამხანაგობაა, პასუხის გაგებლობა სხვა და სხვა რიგათ იყო დანიშნული: ზოგს ამხანაგობაში მიღებული არის, რომ თუ ვალი დასტყდა რამე, ყველა ამხანაგებმა ერთათ უნდა გადაიხადონ და ერთმანეთის თავდებნი არიან, ისე რომ ვინც უქონელი და შეუძლებელია, იმისა წილი ვალიც მთელმა ამხანაგობამ თავისში უნდა გაჰყოს და უნდა გადაიხადოს ბანკში შეტანილი თავისის წილის ფულითაცა და სხვა თავისა ქონებითაც, რაც კი რამ გააჩნია. ეს არის სრული თავდებობა. კიდევ სხვა გვარი თავდებობაც არის, რომ ამხანაგმა პასუხი უნდა გასცეს მთელი თავისის ქონებით კი არა, მარტო დადებულის რამდენისამე ზომის თავდებით. ასე, ზოგ ამხანაგობაში ამხანაგმა პასუხი უნდა გასცეს იმდენის ფულით, რაც წილი აქვს, ან კიდევ ორი იმდენის თავდებით, რაც წილი აქვს, ეს ზომიერი თავდებობაა.

აქამდინ საამხანაგო ბანკებში ისეთი შემთხვევა არა ყოფილა, რომ ვალი დასტეხოდესთ და თავდებობა პასუხის გებაში წაკარდნილიყოს. გამოცდილებით რომელი თავდებობაა კარგი და ცუდი არა სჩანს, მოსაზრებით კი საჭიროა, ვიფიქროთ, რომელი თავდებობა უფრო უკეთესი, სრული თავდებობა თუ ზომიერი? ეს ძალიან ადვილი გასარჩევია.

ზომიერი თავდებობა როგორც ვთქვით, ისეთი თავდებობაა, რომ ამხანაგს წინათვე დანიშნული აქვს, რომ ამდენისა და ამდენის მეტს არ გადახდება. ასე ვთქვათ, ორი საამხანაგო წილის ოდენა, ან ათი, როგორც საკაჭრო საურთიერთო სასესხებელ ბანკებშია მიღებული. ამისგამო ამხანაგობა თუ იმდენ ვალს იღებს გარეშე ადგილიდამ, რაც საამხანაგო წილის ფული არის ბანკში და რამდენსაც თავდებობაა აქვსთ ყველა ამხანაგებს, პასუხის გება ნამდვილი მაშინ იქნება, რომ ყველა ამხანაგებს ყოველსავე დროს ამ ფულის გადახდა შეეძლოთ და თავისი ხვედრი თავდებობის ფული ერთი ათათ არის, თუ ერთი ორათ, მაშინვე გამოიყონ. თუ ეს ასე არ არის, ვალის გადახდა სრულათ არ შეიძლება და უქონელი ამხანაგის ხვედრი ვალი გადაუხდელი დარჩება, რადგანაც მქონებელ ამხანაგებს მარტო დანიშნული ხვედრი გადახდება და იმაზე მეტი არა. ამგვარათ ზომიერი თავდებობა მაშინ არის კარგი, რომ კარგა ბეჯითად და ნამდვილათ ჰქონდეს ამხანაგს იმოდენა ქონება, რაც თავდებობა არის დანიშნული. სასოფლო საამხანაგო ბანკში ეს შეიძლებელი საქმე არ არის. საკაჭრო ბანკი რომ იყოს, ის სხვაა. აქ კი გლეხი უქონელი ხალხია, არც ფული აქვს და ქონებაც, ღმერთმა იცის, რა არის. საამხანაგო ბანკი ამისთანა უქონელ და შეუძლებელ გლეხებისთვის არის. გლეხი კაცების თავდებობა, ქონება და შეძლება არ არის, იმისი თავდებობა სხვა არის: გლეხობის თავდებობა ჯაფაა და შრომა და ამასთანავე მტკიცე პირობა თავის ვალის გადახდისა. როდესაც გლეხები საამხანაგო ბანკში ერთდებიან და სრულ თავდებობას კისრულობენ, აქ ერთი გამოჩნდება, თუ ათი უქონელი იმათ ვალსაც მეორე ამხანაგები იყოფენ თავიანთში და ცდილობენ. ეს სრული თავდებობა ყველა გარეშე ფულის პატრონისათვის, ვინც კი ფულს ასესხებს ბანკსა უფრო სანდო თავდებობა ვინემც ზომიერი თავდებობა ამხანაგებისა. ზომიერ თავდებობით ამხანაგობა გარეშე კაცისაგან და ადგილისაგან ფულს ვერ იშოვნის, ვერ ენდობა და სრულ საყოველთაო თავდებობას კი ყველა ენდობა. საამხანაგო ბანკის აზრი ეს არის. კარგათაც რომ დავაკვირდეთ იქაც კი ნახავთ, რომ ამხანაგობის თვით თავნი ფული წვრილ წვრილათ გროვდება, იმ აზრით კი არა რომ ფული მოგროვდეს გასადიდებლათ როგორც ვაჭრები აგროვებენ და ადიდებენ. აქ ის აზრი არის რომ ამხანაგობა იყოს, ერთმანერთი გაჭირებიდგან გამოიყვანონ ერთმანეთის თავდებობით და ფულით კი არა, ამიტომ რომ ფული და ქონება არა აქვთ მარტო ჯაფა იციან და ვალის გადახდა მტკიცე იციან.

ამ გვარათ ზომიერი თავდებობა ძალიან მავნებელი რამ იქნება ამხანაგობისთვის, შეუძლებელ გზას შეუკრავს და საამხანაგო ბანკის აზრს არ აასრულებს. მამასადამე თავდებობა უნდა იყოს სრული, საყოველთაო და ზომა არ უნდა დაედვას.

ამ უზომო სრული თავდებობის წინააღმდეგნი ამბობენ, რომ თუ ზომა არ ექნება თავდებობასო, შეძლებული და მქონებელი გლეხები არ შემოვლენ ამხანაგობაშიო, რადგანაც ყველა უქონელის ვალი კისერზე იმათ დააწვებაო და მეორეს მხრითაც ბანკს ფულიანი ამხანაგები დააკლდებაო. ეს იქნება ცოტაოდე მართალი იყოს, მაგრამ ეს კარგათ და კარგათ უნდა დავიხსომოთ რომ მქონებლისა და ფულიანისათვის არ იმართება საბანკო ამხანაგობა, რომელი უნდა ვარჩიოთ ისა რომ შეძლებულები შეიყარნენ და შეუძლებლებს გზა შეუკრათ, თუ შეუძლებლებს შეწევნა მიეცეს? ვისაც ზომიერი თავდებობა უნდა, უქონელი კაცის შეწევნა არა სდომებია. ჩვენი აზრით დებულების მუხლი უეჭველად უნდა შეურყეველი დარჩეს და თავდებობა საყოველთაოთ სრული იყოს. უამისოთ საბანკო ამხანაგობა ჩვენში მალე წაიშლება და გლეხობას გულს ააყრევინებს ამისთანა კარგ საქმეზედა.

(შემდეგი იქნება.)

პეტ. უმიკაშვილი.

---

## მუშა ხალხის სიმრთელის შენახვაზე.

ჩვენ ვიცით, რომ მუშა ხალხის სიცოცხლე და ცხოვრება არის დამოკიდებული საშუალებაზე არა თუ მარტო მუშა ხალხისა, აგრეთვე მთელი სახელმწიფოსი.

მუშაობისთვის, რასაკვირველია, საჭიროა კარგი და მაგარი სიმრთელე. მაგრამ საუბედუროთ ჩვენ ამ სიმრთელეს ვაფასებთ მაშინ, როდესაც ვკარგავთ. ჩვენ არ გვინდა, რომ ვილაპარაკოთ რა და რა მუშაობას როგორი ზარალი მოაქვს

კაცის სიმრთელისთვის. ყოველი კაცობრიობის მოყვარე ცდილობს, რომ ყოველ მუშა კაცს არ დაუკარგოს ძალა. კიდევ უფრო უნდა ზრუნავდეს ხალხის სიმრთელეზე და ყოველი ამ სიმრთელის დაკარგვის მოშორებას სიმრთელის მზრუნველი გამგეობა. ეს საქმე მთელი სახელმწიფოსთვის ძალიან საჭიროა, რადგან ხალხის სიბედნიერით მთელი სახელმწიფოც კარგ მდგომარეობაში იქნება. მართებლობას უფრო ძალა აქვს და შეძლება, რომ იფიქროს ხალხის სიმრთელეზე ვინემ სხვა პირებს.

მართალია, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი დროის შემქნელი და გამომგონებული და რამოდენი სხვა და სხვა დაწყობილებანი გამოიგონეს ყოველ მუშას შეუძლია და იშოვნოს საქმე. მაგრამ მაინც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რიცა ახალია ის მაინც და მაინც კარგია და წინ სწევს კაცობრიობას. შეგვიძლია ვსთქვათ მართალი, რომ ზოგიერთი საქმით უკან ვიწევით. ეხლანდელ დროში თითქმის აღარ უგდებენ ყურს ხალხის სიმრთელეს და ძალის გამაგრებას.

ჩვენი ცხოვრება დაშორებულია ბუნებისგან, რასაც მოაქვს სიმრთელისთვის დიდი ვნება. ჩვენ დავსუსტდით და გავსათუთდით ხელოვნებითი აღზდისგან, უდროოთ დაქორწინებისაგან, ავათმყოფი ადამიანები ერთად დაქორწინებისაგან, ხელოვნობით გაკეთებულ საჭმლისა და სასმელისაგან. ხელოვნებით სადგომებისაგან, სპირტიული სასმელებისაგან, მშვენიერი ტანისამოსისაგან და სხვა მიზეზებისაგან, რომელიც არიან შემოსულნი ჩვენ ცხოვრებაში. ჩვენ ცხოვრებაში უმფრო არის ხელოვნობითი მოთხოვნილება, ვინემ ბუნებითი. ტყულა არ ამბობს ნემცების პოეტი: თითონ კაცი იგონებს თავისთვის ბევრ საჭიროებას, მაგრამ მართლა, რომ ვსთქვათ იმას ბევრი არა უნდა რა!

თუ ამისთანა ამ დროის უბედურებებს ბოლო არ მოეღო მალე, ჩვენ მოგვდის საოცარი უბედურება. თუ ასე წავიდა საქმე უნდა მოველოდეთ, რომ შუა ხალხის *Среднее сословіе* ამოწყდება და მაშინ სიმდიდრე და სიღარიბე ერთმანეთის პირდაპირ დაუხვდებიან და ერთმანერთში დაეწყებათ უკმაყოფილება. როგორც ფული არის მდიდარი ბრწყინვალებით ევროპე სიღარიბე უმფრო უბედურებით, აუცილებელი მომავალი გვაშინებს ჩვენ, და ყველა ხეირიანი კაცი უნდა ეცადოს ამ უბედურებას არ მოხდეს. უნდა კაცობრიობამ უნდა მ იხმაროს ძალა და ღონის-ძიება მუშა ხალხისაკენ შემწეობა იქნება. კარგი ყოფაქცევით ცხოვრება და თავის მოყვარეობა.

## საზოგადო სამუშაო.

ყოველი ადამიანი მუშაობს ქალიც, კაციც და ყმაწვილიც. დიდკაცსაც და მცირესაც აქვს თავთავიანთი საქმე. მუშაობით ვართ ჩვენ ბედნიერი, ჯაფით ჩვენ ვცხოვრობთ, ჯაფით ჩვენ ვიღებთ ფულებს და ვაუმჯობესებთ ჩვენ ცხოვრებას; ჯაფა ამაგრებს ჩვენს სხეულს, საჭმლის მონელებას ეხმარება, გვაძლევს ძალს და მრთელ სხეულს, ყოველ ცუდ ფიქრებს აშორებს კაცს. ვინაც რომ შრომას ერიდება, ვინც ზარმაცობს, იმას ეკარგება ძალა ლუკმის საშოვარი და მოელის მალე წინ საბიჯი ჯოხი და გუდა. ამისთანა კაცი ყოველთვის მოწყენილია, იქნება ცოტა ხანს გამხიარულდეს, მაგრამ სიხარულიც მალე გაუვლის. ამგვარი კაცისაგან ყოველთვის უნდა მოველოდეთ ბოროტ საქმეს სიკეთე იმისთვის, ვისაც ჯაფა უყვარს!

საქმის დრო, ანუ საქმე და მოსვენება. მუშაობამ, რომ ზარალი არ მოუტანოს ტანის სიმრთელეს, საჭიროა დროებითი დასვენება. თუ ასე არ მოვიქცეთ, ძალა დაგვეკარგება და აღარ შეგვეძლება მუშაობა, ეს რასაკვირველია მოუტანს ზარალს, როგორც მუშას ისე იმას, ამისთვისაც საჭიროა მუშა ხელები. უნდა ქონდეს დრო დასასვენებლათ და საჭმლის საჭმელათ, რომ ძალა არ დაეკარგოს. უნდა ვთქვათ მართალი, რომ დღიური მოსვენება ჩვენში საკმაო. მაგრამ დღიურ მოსვენებაზე უმფრო საჭირო ღამის, ღმერთმა ისე გააჩინა ღამე, რომ კაცს არაფერმა დაუშალოს ძილი. აპა ერთი ღამე ნუ დაიძინებ და იმუშავე მეორე დღეს, რანაირ გუნებაზე იქნები; თავი მძიმეთ გაქვს, გული გიღონდება და ძალა არა გაქვს, სხუმანდულათ იმუშაო.

ძალიან ცუდ საქმეს უშვრებიან სიმრთელეს, ვინც დღე და ღამ მუშაობს. ექვსი დღის მაგივრად შვიდ დღეს ამუშავებენ ხალხს ეხლანდელ საუკუნოებში. რომ ფაბრიკებში შეხვიდეთ, კვირა დღეს ვერ შეატყობთ, კვირაა თუ ორშაბათი, ისე მუშაობენ. კვირა დღე და დღესასწაული მუშასთვის დასასვენებლათ უნდა იყოს. ამ დაუცხრომელ მუშაობისგან მუშა ხალხი ირყვნება და გამოდიან საძაგელი ადამიანები.

საქმის მიმცემლები არ ასვენებენ მუშა ხალხს და ამუშავებენ დღე და ღამ. ამ საძაგლობას უნდა დაუდვას ბოლო მართებლობამ, დანიშნოს სამუშაო დრო, რომელიც არ ავნებს სიმრთელეს.

საქმის სიდიდე. საქმის სიდიდე უნდა იყოს დამოკიდებული სამუშაო დროზე ამას ექნება ორი გზით ვნება ხანგრძლივი და განუწყვეტელ მუშაობა ან მოკლე დროში უზომო ძალის ხმარება პირველი შემთხვევაში სიმრთელე უცებ ეკარგება მუშას, მეორე შემთხვევაში თან და თან ელევა სიმრთელე. არ შეიძლება ითქვას, რომ ამდენი და ამდენი საქმე უნდა გაკეთდეს, რომ მუშას სიმრთელის ვნება არ მიეცეს საქმის მიცემის დროს უნდა მიაქციონ ყურადღება ყოველ მუშის ძალას, სიმრთელეს, ტანის აგებულებას, ხანს და სქესს. ამ საქმეში სახელმწიფო გვაძლევს კარგ მაგალითს: ნიშნავს არამც თუ სამუშაო საათს [illegible] რამდენი უნდა იმუშაოს ყოველმა მუშამ დღეში ჩვენ ნამდვილი ვიცით, რომ სახელმწიფო ფაბრიკებზე უფრო ცოტა ხალხი იხოცება ვინემ სხვებზე. მტყვევებისთვისაც დანიშნული სამუშაო დრო არ არის დასამძიმებელი.

სხვა და სხვანაირი საქმე. იმას ითქმა არ უნდა, რომ ჩვენი სოფლის მუშა ხალხი უმფრო კარგ მდგომარეობაში არიან, ვინემ ფაბრიკებზე მადნებში და ვერცხლის წყლის მადნების მომუშავე ხალხი, სოფლის მუშა ხალხი სუნთქავს წაუმხდარ ჰაერით ერთი სიტყვით მათი ცხოვრება უფრო კარგათ გაწყობილა ყოველის ვინემ ზემოხსენებულების სოფლებში კიდევ უფრო ნაკლები ავათმყოფები იქნებოდნენ, რომ თავის ტანსა და სადგომს ინახავდნენ ხეირად სოფლის ცხოვრებლებს ყველაზე უმფრო სწყინს ჭაობიანი ადგილი, რომლებმაც იცის საოცარი ცივება-

ები. ამისთანა ადგილის მცხოვრებლები სამუშაოთ არ უნდა გამოდიოდნენ მზის ამოსვლამდი და არაოდეს უზმოთ არ გავიდნენ, აგრეთვე საქმე უნდა გაათავონ მზის ჩასვლამდი. ამ დროს და ღამით კარში დარჩენა ძალიან აწყენს კაცს, რადგანაც ხაშმიანი ორთქლი ამ დროს ადის. თუ საჭიროება მოითხოვს ჭაობიანი ადგილების შრობას, მაშინ ეს საქმე უნდა გაკეთდეს შემოდგომაზე, ანუ გაზაფხულის დასაწყისში. ზაფხულში ამ საქმის გაკეთება არ შაიძლება, რადგან ამ ადგილებიდამ ადის მყრალი ოშივარი. ხელოვნების სამუშაო დრო კარგად არის დაწყობილი ესენი ღამე არ მუშაობენ და არც დღესასწაულდღეს ისე არ შრებიან, როგორც ფაბრიკებზე მომუშავე ხალხი, რომელნიც თელი ღამე და დღე მუშაობენ. რადგანაც ხელოსნებს კარგათ აქვსთ გაწყობილი სამუშაო დრო, მიტომ ესენი უფრო ტან მრთელათ არიან, ვინამ ფაბრიკებზე მომუშავებზე.

**საქმის გამორჩევა და ხელოვნების სწავლის წელიწადები.** ხელობას არჩევენ ან თავიანთი სურვილით და ან როგორც მოუგონებიან, ამ საქმით ხდება ბევრი უბედურება, რადგან ბევრჯელ სუსტი გულის პატრონი ყმაწვილი ებარებიან თერძებს, ანუ მიდიან ფაბრიკებში სადაც ბევრი მტვერია და ოშივარი ამიტომ ყმაწვილები ხშირად და უდროოთ კვდებიან. ყოველ ხეირიან კაცს ამისთანა საქმე რასაკვირველია საწყენათ აქვს მაგრამ რა ნაირათ უშველოს? პაპპენჰეიმის აზრით ამ უბედურების მოშორება შეიძლება, თუ კი ხელოსნები მიიღებენ ამისთანა შაგირდებს რომელთაც აქვსთ დოქტორისგან მოწმობა, რომ ამისთანა და ამისთანა საქმე ამ შეგირდს არ აწყენს. ამ მოწმობის ასალები ფული რასაკვირველია შაგირდს მუქთ უნდა გადასდეს, მაგრამ ძალადობით ამორჩეულ ხელოსნობას ცხოვრებაში არა აქვს ხეირი, ამიტომ ამ საქმის ასრულება, როგორც ჰხედამთ არ შეიძლება. შაგირდებმა, რომ უბედურება გადაიშორონ სანამ ხელოსანს მიებარებოდენ უნდა კითხონ გამოცდილ კაცს შეუძლია თუ არა ამ საქმეში შესვლა, ტერ-ტეროობით ამაზე უკეთესი რჩევა არ იქნება შენატყობთა, რომ უფრო ხშირად ხთებიან ავათ ეშეგირდები. სწავლის გათავების მერმე ისინი ჩვევიან თავიანთი ხელოსნობას და აღარ ხთებიან ავათ. ამდენი ხანი მართებლობა არ უგდებდა ყურს ხელოსნების სიმრთელეს პაპპენჰეიმს ეკუთვნის მშვენიერი აზრი: „შაგირდების გამოცდის დროს ხელოსნად უნდა კითხონ იმ ხელობას, რომელიც ისწავლა, რანაირი ზარალი მოაქვს და ან როგორ მოიქცეს. რომ ამა და ამ ხელობამ ავადმყოფობა ააშოროს*. ამისთვის მართებლობამ უნდა შეადგინოს კამისსია ტეხნიოლოგებისაგან, ექიმებისაგან და სახელმწიფო მოსამსახურე კაცებისაგან. ამ კამისსიამ უნდა შეადგინოს რა და რა ხელობას რა ზარალი მოაქვს ტანის სიმრთელისთვის და ან რანაირათ შეიძლება ამ უბედურების თავზე გადავლება. ამისთანა ტაბლიცა უნდა ჰქონდეს ყოველ ხელოსანს დაკიდებული ამ ტაბლიცას რასაკვირველია ყოველ დღე ხედავენ შაგირდები და ამის შინაარსი თანდათან ებეჭდება გონებაში. ამ ნაირად ყოველი შაგირდი ეცდება, რომ იმნაირად მოიქცეს, რომ ავად არ გახდეს.

კარგი ხელოსნები თავის შაგირდების ყოფაქცევასაც უგდებენ ყურს, თქმა არ უნდა როგორც საჭიროა ამისთანა საქმის ყურადღება. ამიტომ პრუსსიის სახელოსნო წოდებაში ვხედავთ ჩვენ, რომ მართებლობა აძლევს ნებას ადგილობითი განგეობას, რომ იმათ ყური უგდონ ხელოსნებს, რომ კარგათ უყურონ თავიანთი შაგირდების ყოფა ქცევას და სიმრთელეს და რომელთაც კიდევ ეჭირვება სასულიეროდ საერო სწავლა კვირის შკოლები ძალიან ეხმარებიან ამ საქმეს, რადგან ყოველ ხელოსანს შეუძლია აქ სწავლას

**მუშის ძალის გადიდება.** ჩვენი საქმე არ არის, რომ შევიტყოთ, რისგან არიან ღარიბები ჩვენი მუშა ხალხი. მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ საჭიროების მოთხოვნილობის უარისყოფა და დაჩაგრული სიცოცხლე არის მიზეზი ყოველი ამათი უბედურობისა. აქედამ გამოდის არამც თუ გარყვნილობა, ავადმყოფობა, სიკვდილი აგრეთვე ეჩვევიან სიმთვრალეს და ავაზაკობას. ჩვენს დროში საჭიროების ფასი უფრო გადიდდა. გასაკვირველი იქნება თუ ეხლა ჩვენ ვიშოვით რამეს ორ იმ ფასათ, რაც უწინ იყო. ამისაგან ყველაზე უფრო შეწუხებულია რასაკვირველია მუშა-ხალხი, მაგრამ უნდა ვთქვათ მართალი, რომ ჩვენ დროში თუმცა საჭიროება ბევრს თხოვნილობს, მაგრამ საქმეც ყველას შეუძლია იშოვოს, ეხლა საქმის შოვნა შეიძლება არამც თუ დიდ ქალაქებში აგრეთვე პატარა ქალაქებშიაც და სოფლებში. მაგრამ რამდენათაც საჭიროებას ფასი უდიდდება, იმდენათაც მუშას ჯაფისთვის უმატებენ ფულს! თუ ვიტყვით, რომ უწინ საჭიროების ფასი უფრო ცოტა, იყო ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მუშასაც არ ეძლეოდა იმდენი ქირა. ყოველ მუშას სურს, რომ თავის სიღარიბიდამ გამოვიდეს, როგორც ზოგიერთი მისი ამხანაგები, მაგრამ მარტო სურვილით ვერას გააწყობს.

ბევრ ღარიბ ოჯახში ყმაწვილებს აძლევენ ნებას ტკბილი საჭმელების ყიდვას ვისაც კი უნდა თავის ცხოვრების გასწორება ტუულა უბრალოთ დახარჯულ კაპეკსაც უნდა გამოეკიდონ. თუ კი ფული ხეირიანათ არ მოიხმარა კაცმა, იმას არაოდეს ხეირი არ ექნება. ვსთქვათ მუშა იღებს იმდენს ფულს. რაც საჭიროა მისი ცხოვრებისთვის. იმან არაოდეს არ უნდა დახარჯოს ფული მაგარი სასმელებისათვის და სხვა: რომელნიც მოაქვთ ზარალი. ისიც უბედურებაა, თუ ცოლი უხეიროთ ხარჯს მოუმატებს. მაშინ რაღა ხეირი ექნება ამათ. ჩვენი საუკუნოს სადიდებელი ის არის, რომ ეხმარება ღარიბ ხალხს და ცდილობს, რომ არა უჭირდეს რა ამათ. ამ საქმისთვის გააკეთეს ყმაწვილები თავშესაფარი სახლი, სადაც აბარებენ ორ წლამდი ყმაწვილებს დიდის მუშაობის დროს ამათ დედებს შეუძლიათ უმუშაონ მთელი დღე გულ დასვენებით, რომ მათ შვილებს არა გაუჭირდება რა. დასვენების დროს კი უნდა მივიდნენ თავის შვილებთან მეძუძურ სწოვებლათ. ყმაწვილების შესანახავათ იღებენ ძალიან ცოტა ფულს და აგრეთვე

*) ამასთან დათანხმება არ შეგვიძლია რადგან ამისთვის მუშა ხალხში და მათ ჯამქისვებში არ იქნებოდა დაუკმაყოფილება ფრანციაში და ინგლისში და აღრეულება, როგორიც იყო ბელიაში რედ.

მიყვანის დროს მთელი დღის საცვალი ტანისა-
მოსი უნდა მიიტანოს. ამისთანა ყმაწვილების
თავ შესაფარი სახლი იყო პირველად გაკეთებუ-
ლი პარიჟში 1844 წელში, ამ საქმეს მალე წახე-
და გერმანიამ. ამ სახლებს უყურებენ კარგი გუ-
ლის დიდი კაცის ქალები, რადგან შეძლებაც ამათ
აქვსთ, უნდა გვეფიქრნა, რო ამ საქმეს ბევრი
ახედამსო, მაგრამ საუბედუროთ წამხედავები ძა-
ლიან ცოტანი გამოჩნდენ. ყველას უკეთესი ის
იქნება, თუ ამ სახლებს გააკეთებენ იმ ფაბრიკის
ან სხვა სამუშაო სახლების ახლოს, სადა მუშაო-
ბენ დედაკაცები.

უბედურებათ ის მიგვაჩნია მდაბალ ხალხში,
რომ ძალიან ცოტა საცვალი ტანისამოსი აქვსთ
და ჭუჭყიანი, მაგრამ ამ საქმესაც შველის ამ
ხოის დაწესებულება წმ. ვიკენტის საზოგადოება,
რომელიც აგზავნის სხვა-და-სხვა მხარეებში საც-
ვალ ტანისამოს. ვსთქვათ, რომ ეს ტანისამოსი
ყველასთვის საკმაო, რაც რასაკვირველია არაოდეს არ
იქნება; რომ იყოს, მაინც ესეც არ გაასწორებდა უბედუ-
რებას. უბედურება რეცხვაში მდგომარეობს, როგორც
ტანით რეცხვას უნდა, შეშა, საპონი და სხვა,
რომელთაც შოირდება კარგა ძალი ფული, მერე
მრეცხი ყოველთვის არ შეიძლება, რომ გაიშ-
როს ჭაურზე, ამიტომ პატარა ფეჩებთან აშრო-
ბენ თავიანთ ოთახებში. რადგან ჩერდაკები არა
აქვთ. მერე უოთობა ილებს დიდ ხანს; ერთის
გაჩვით რეცხვას მოაქვს ბევრი ზარალი ღარიბი
კაცისთვის, ამიტომ ღარიბი კაცი სტოვებს ამ
საქმეს სანამდინაც შეუძლია. ინგლისმა ამასაც
მიაქცია ყურადღება, გააკეთა საერთო სარეცხის
სახლები და აბანოები ღარიბი ხალხისთვის. ამა-
ზე არ დაჯერდა, ტანისამოსის სისუფთავესთან
ოდა შემოელო სადგომი სახლების სისუფთა-
ვე, როდესაც ინგლისში გაიხსნა საერთო სა-
რეცხო სარეცხი სახლები და ტანის საბანებლები,
მანვე საფრანგეთმაც წაბედა. საუბედუროთ ამას-
თანა სახლები ჯერ ჯერობით მარტო დიდ ქალა-
ქებში არიან. იმედია რომ სხვაგანაც გაიხსნება
ამისთანა სასარგებლო სახლები.

მაგრამ მუშა ხალხის ძალის შესანახავათ და
ჯანმრთელისთვის არაა საკმაო მარტო კარგი და ბევრი საჭმელი, ტანის და ტან საცმლის სუფთათ შენახვა. აგრეთვე ამ სიკეთესთან უნდა კარგი სადგომი სახლი.

რასაკვირველია მართებლობას არ შეეძლო, რომ დაუშალოს ვინმეს უხეირო ფაცხის აშენება ან გააფუჭოს წინეთ აშენებული, მაგრამ ეს კი შეუძლია, რომ არ მისცეს ნება არავის, რომ მუშა ხალხს აქირაონ მისთანა სადგომები. მერმე მუშა ხალხის დამჭერლებს უნდა ჰქონდეს ბრძანება მიცემული, რომ იმათი სადგომები იყვნენ კარგები და ვნება არ მისცეს მუშა ხალხის სიმრთელეს. მუშა ხალხის სადგომები მით არიან ფინთი, რომ ძალიან პატარები არიან და ჰაერი არ მუშაობს ხეირიანათ, მერმე არის ისე მაღლათ რომ დაღალული ოჯახისთვის ძალიან ძნელია იმ კიბეზე ასვლა. ამ უკანასკნელ დროში ის აზრი იყო მოყვანილი აღსრულებაში, რომ სახელმწიფომ და სხვა პირებმა უნდა ააშენოს კარგი სადგომები ღარიბი ხალხისთვის და იღონ ძალიან ცოტა ქირა. მაგრამ ჯერ, არარის გადაწყვეტილი, კაზარმებსავით ააშენონ სახლები თუ ცალ ცალკე პატარა სახლებათ, სადაც დაეტევიან ექვსი ოჯახი. ზოგნი ამბობენ, რომ როცა კაზარმასავით იქნება, მაშინ უფრო ცოტა აღაშენებელი მასალა მოუნდება, გასათბობი სარეცხისთვის და სხვ. მოუნდება უფრო ცოტა, რომ სისუფთავე იქნეს და კარგი ჰაერი უნდა დაყენონ ზედამხედველებათ თუ პატარა სახლები იქნება, მაშინ უნდა ველოდეთ, რომ ამაშენებელი მასალა უფრო ბევრი მოუნდება, მაგრამ სახლი უფრო სუფთათ იქნება შენახული, სახლობაები იქნებიან უფრო მშვიდობიანათ და ჭირი, რომ ერთ ოჯახში ექნეს, მეორეს არ გადაედება.

ამისთანა დაწესებებს მადლობის თვალებით უნდა უყურებდეს ღარიბი ხალხი და უნდა ცდილობდეს თავის მდგომარეობის გასწორებას.

### ძალიან ადრე ყმაწვილების მუშაობა.

სახელოსნო საქმე, რომელსაც აძლევენ მაგიერდებს არ არის ძნელი ამ თავით ასასრულებლად და სიმრთელის სავნებელი. ამიტომ მე ვხედი ნამეტნათ, რომ ამაზე ვილაპარაკო ცალკე. სოფლებშიდაც პატარა ყმაწვილებს იმისთანა საქმეს აძლევენ, რომელსაც ძალიან ჯაფა არ უნდა და არა სწყენს ტანის სიმრთელეს. უფრო ხშირად პატარა ყმაწვილებს აძლევენ სამწყესავად ღორებს. უფრო დიდები მწყესამენ ცხენებს და ხშირად მახინჯდებიან ცხენების წიხლებით, ყველაზე უფრო უბედურებაში არიან ის პატარა ყმაწვილები. რომელნიც მუშაობენ ფაბრიკებში, მადნებში და ზაოდებში. ყმაწვილები გამოუცდელები არიან, არ იციან რა უბედურება შეემთხვევა ხოლმე, თავის სიცოცხლეს არაფრად აგდებენ, ბევრჯერ იმდენს ამუშავებენ ხოლმე, რომ იმის პატარა ღონეს არ შეუძლია აიტანოს.

### ერთად მუშაობა

ჩვენს დროში, როდესაც წარმოება ძალიან გადიდდა და რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს ერთ ადგილას ერთს ქარხანაში, ერთი რომელიმე ნივთის საწარმოებლად, ხშირათ მოხდება ხოლმე რომ ერთი მაზრის ხალხები შეგროვდებიან, მისცემენ ერთმანეთს პირს, შეაგროვებენ ფულს, ან არა და ერთმანეთის თანდებობით საერთო სესხებენ ფულს, გააკეთებენ საწარმოებელ ქარხანას იყიდიან იარაღებს და დაიწყებენ ერთად მუშაობას. მოგებასაც და წაგებასაც თანასწორათ იყოფენ. ამ მეტ-მეტის შემენს ვერავინ ეტყვის: ყველა თანასწორი ამხანაგია, ყოველს კაცს თავის გამრჯელობისამებრ რჩება მოგებაც, აგრეთვე შენიშნულია, რომ რამდენათაც გადიდდება წარმოება, იმდენათ და ერთი ათად დიდდება მოგებაც. უცხო ქვეყნებში რომელსამე დიდს წარმოებას იჭერდა ერთი ან ორი ძალიან მდიდარი კაცი, მუშა ხალხს უნიშნავდა ჯამაგირს, იმდენს ჯამაგირს რომ ყოველი მუშის დღიურათ რჩენისათვის საკმაო ყოფილიყო. დანარჩენ მოგებას მთელი წარმოებიდგან სულ ერთიანათ ერთი და ორი კაცი, ქარხნის პატრონი იდებდა ჯიბეში. ამისთანა დაწყობილებამ მუშა ხალხი უცხო ქვეყანას ძალიან ცუდს გარემოებაში ჩააგდო. ის დღითი დღე დილის ალიონიდგან დაწყებული შუაღამემდის წელ გაუმართავათ იდგა, მუშაობდა, იმისი მოგებით ჯიბეს ივსებდა სულ სხვა კაცი, რომელიც არც მუშაობაში რეულა, არც საქმის თაოსნობა-

ში; მხოლოდ ვინ იცის რა ნაირის უსამართლოებით მოგებულის ფულის წყალობით გამართავდა ქარხანას და თვითონ გადგებოდა გასზე და საწყალი ხალხის ოფლისა და ჯაფის ხაყოფი იმას ჯიბეში ჩასჩხრიალებდა. ამისთანა გარემოების ძალით ვინც შრომობდა ის შიმშილით კვდებოდა და ვინც ხელს არ ანძრევდა და უმისოთაც ბევრი ჰქონდა, მასაც ოქროების მდინარეები შეუწყვეტელ იმას ჯიბეში კამარათ ჩასჩხრიალებდა. ამნაირმა ცუდმა გარემოებამ თვითონ მუშებს აფიქრებინა მოგროვილიყვნენ საერთოთ, თელი მაზრის მუშებს აელოთ ვალი ან სახელმწიფოსაგან. ან ცალკე პირისაგან, გაეხსნათ რომელიმე წარმოების ქარხანა და თვითონ გამხდარიყვნენ როგორც ქარხანის ისე მოგების პატრონიცა, ამისთანა ჭკვიანმა მოფიქრებამ მთელი მაზრების ხალხი, რომელსაც უწინ ლუკმა პურიც არ ჰქონდა, სული ჩაიდგა და გამდიდრდა. ამ ჟამათ მთელი ჩრდილოეთის ნაწილი რუსეთისა, სადაც მიწას არა მოყავს რა და დაბალი ხალხი თითქმის ხის ქერქათ რჩება, შეერთებულან ერთად და რაც კი იმათ ქვეყანაში გასაყიდი ნივთიერება მოეპოება იმას აკეთებენ საერთო ქარხანებში და მერე ჰყიდიან. იმათ აღარც ხნა უნდათ და აღარც სხვა ოჯახობა, ამნაირი მოგებაც ადვილათ არჩენს. იმათს ქვეყანაში არის აუარებელი გვარიანი ხეები, რომლიდგანაც მუშა ხალხი ხდის ფისს აგროვებს ერთ ქარხანაზე, აკეთებს იქ კუპრათ და სხვა მასალებათ და გააქვს სამზღვარს გარეთ გასასყიდათ. რომ კარგათ დააკვირდეს კაცი იმათს ცხოვრებას და მოძრაობას შენიშნავს, რომ ჩვენი გლეხი, ჭკუითაც სჯობია იმას მოხერხებითაც და შეძლებითაც; მაგრამ გაჭირებას ისინი ამ სარგებლიან საქმეებში მიუყვანია, ჩვენი გლეხობა კი არის შრომაში გაცალკევებული და თითო ოროლა შეშის ღერისათვის სამოც ვერსზე მიდის ტფილისში, ამდენი დრო და შრომა ეკარგება, გამოსავალი კი არა აქვს რა. რა აკლია იმას ჩვენ ქვეყანაში: ვითამ უზარმაზარი ნაძვის და ფიჭვის ტყეები არ იყოს. რომ კუპრის სახდელი ქარხანა გააკეთოს, ან თუნდა მგ არა, რა დაუშლის ჩვენს გლეხობას, რომ ერთად მთელმა ერთმა სოფელმა, ან რამოდენმა სოფლის ხალხმა ერთად თუნდ ტყე აიღოს მარტო მოსაჭრელათ და ჰყიდოს რკინის გზაზე ან რამდენიმე სოფლის ხალხმა მისცეს ერთმა ნერთს პირობა, რომ მოსავალი და ჭირნახული ერთად შეაგროვონ, გაიტანონ საერთო საშუალებათ თავის დროზე, ან კარგს მაზანდაზე და ალოზე ქალაქებში და იქ რიგიან ფასათ თვითონვე გაჰყიდონ, ვინამც ცალ-ცალკე ალაგზე გაყიდვით მთელს თავის მოგებას უგროვებდენ ხელში ქალაქის ჩარჩს, რომელიც დაიარება სოფლებში, თვითონ აგროვებს ძალიან იაფ ფასათ სოფლის ნამუშევარს და იმათ მოგებას თვითონ იდებს ჯიბეში. ამას ის დაწყებას უნდა მხნეობა, გაბედულობა ჩვენს ხალხს ესეც აკლია და ისიცა.

სამაგალითოდ ჩვენ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით ანგარიშს ფისის სახდელს ქარხნების გამართვაზე,

## ანგარიში ფისის სახდელი ქარხნების გამართვაზე

ერთი ქარხანის გამართვა მისალებად სხვა-და სხვა ნივთების ეღირსება შემდეგ ფასად: ვსთქვათ, რომ ერთ ამისთანა ქარხანაში წელიწადში გაიყიდება: შემუშავდება ასი კუბ-კრულ საჟენი ფისიანი რამე. ამას მოუნდება ერთი ცილინდრი ერთი კუბ. საჟენი ჩასატევნელით, ანუ მოუნდება ორი ცილინდრი, თითოზე ნახევარ კუბ. საჟ. თუ ერთი ცილინდრი იქნება, მაშინ სიმაღლე უნდა ჰქონდეს ხუთი არშინი და სამი მეოთხედი არშინისა ხოლო სისხო, ანუ სიგანე სირგვლის შუა გული თითქმის ერთი საჟენი, ერთი სიტყვით ეს უნდა იყოს დიდი ბოჭკა, ამ ნაირი ცილინდრი, თუ სისქე ექნება 1/4 (ერთი მეოთხედი) გოჯისა ისონს 78 1/4 ფუთსა (სამოცდა თვრამეტ ფუთზე ცოტა მეტსა), რომ ვიანგარიშოთ ხუთ-ხუთი მანეთი ფუთზე მუშაობით და მიტანით მივიღებთ 319 მ. (სამას ცხრამეტ მანეთს) და ხუთ შაურს. თუ იქნება ორი ცილინდრი თითო ნახავარ ნახევარ კუბ. საჟენის ტოლი, მაშინ სიმაღლე უნდა იყოს ცხრა საჟენ ნახევარი, სიგანე ერთ საჟენზე ცოტა ნაკლები წონი, ანუ სიმძიმე, პირველი ცილინდრისა, თუ სისქე ექნება ერთი მეოთხედი გოჯისა (1/,9). იქნება ორმოცდაათი ფუთი და ფუთი ხუთ-ხუთი მანეთად შეადგენს 250 მ. (ოცდახუთი თუმანი), მეორესი ცილინდრისა შეადგენს 500 მ. (ხუთას მანეთს),

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ერთ დიდ ცილინდრში შეიძლება წელიწადში შემუშავდეს ასს კუბ. საჟ. ორში კი ნახევარ კუბ. საჟ. რომ ვიანგარიშოთ 120 130 კ. საჟ. (ას ოციდგან ას ოცდაათამდე). გარდა ამისა, პატარა ცილინდრები უფრო ადვილი წასაღებ-წამოსაღები არიან და აქვთ კიდევ სხვა სარგებლობა მხოლოდ ცილინდრები ცოტა ძვირათ ღირან.

ვსთქვათ, რომ იყოს ორი ცილინდრი, თითო ნახევარ კუბ. საჟენის ტოლი, ერთი დიდის მაგივრათ:

1) ისინი ღირან ..............................500 მ.

2) გასაცივებელ (Холадильникъ) და წასავანი მილებიანათ მოუნდება ექვსი ფუთი წითელი სპილენძი, ფუთი თექვსმეტ—ჩვიდმეტ მანეთად მუშაობით და მიტანით სულ ეღირება...100 მ.

3) ცილინდრების ფეჩებს ქვეშ მოუნდება 20,000 აგური ...................................100 „

4) ფეჩების, ქვიშის და სხვ. ამ გვარების დასწყობა (Кладка) .............................50 „

5) რეზერვუარებს, ბოჭკებს და სხ. და სხ. ამ გვარებს. ................................ 50 „

6) საჩეხი (Навѣсъ) ქარხანაზე (ხუთი საჟ. სიგანე, შვიდი საჟ. სიგრძე და სამი საჟ. სიმაღლე) 250 „

7) და სხვა მიუხვდარ გასავალზე .... 100 „

სულ შეადგენს 1150 მანეთს.

დ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ა   ქ ა რ ხ ა ნ ი ს ა   შ ე მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ   ტ ყ ი ს   მ ა ს ა ლ ე ბ ი ს შესა- მუშავებულად რომლებსაც იღებენ ზემოხსენებთ ქარხნებში, იქნება ზედმიწევნით შემდეგი.

1) ამის შემდეგ ანგარიშები არის შედგენილი იმ ქარხნებისათვის, რომლებიც არიან გაკეთებულები ვესკის მაზრაში, ვოლოგდის გუბერნიაში, ამისათვის ფასებიც მოყვანილება არიან აქ ადგილიდგან.

1) ფისის გამოსახდელად მოუნდება სამი თუჯის გამოსახდელი ქვაბი სიმაღლე იმათი იქნება ორი ფუტი, დიამეტრი (სიგანი) სამი ფუტი, სისქე საშუალო რიცხვით ერთნახევარი გოჯი. ერთი სახდელი ჩვენებურათ საარაყე—(*куб* თავსაკურით (*с шлемом*) იწონს ორმოცდა ათფუთ ნახევარსა, სამი ქვაბი კი ას ორმოცდა ათ ფ, რომ ორ ორი მანეთი და თხუთმეტი შაური ვიანგარიშოთ ფუთზე (ორი მ. და ხუთი შაური ...ნუ კიდევ ორი მანეთი მარტო ჩამოსხმა და ექვსი ...თი შაური მიეტანა) 412 მ. 50 კაპ.

2) ერთი სპილენძის ქვაბი სკიპიდარიდგან ...ალამფე ზეთის გამოსახდელად თუ ექნება ხუთი ფ. დიამეტრი, სიგანე მეთექვსმეტედი გოჯის ...წონს თავსახურით შვიდ ფუთამდე, თექვსმეტ-...ვიდმეტი მ. ფუთზე შეადგენს 120 მ.

3) გასაცივებლები სპილენძის მილებით ყვე...ა იმ მილებთან. ამისთვის საჭიროა ათ ფუ-...ამდინ წითელი სპილენძი, თექვსმეტ-ჩვიდმეტი ...ნეთი ფუთზე 170 მ.

4) სპილენძის ჭურჭელი, ან ბოჭკა, პატარა ...ომის ხის სპირტის (*деревянный спиртъ*) ...მოსახდელათ იწონს ხამ ფუთსა 50 მ.

5) სპილენძის ქვაბი ლაქების მოსამზადებლად ...ამი ფუტი რომ ჰქონდეს დიამეტრი (სიგანე) ...ა ორი ფუთი სიმაღლე, სისქე მეთექვსმეტედი ...ჯისა იწონს ორ ფუთს და სამ გირვან-...ს 35 მ.

6) ორი ჩუგუნის ქვაბი; ერთი ამოსაშრობ-...ად ძმრის ნატრისა, მეორე სხვა და სხვა მა-...ლეული ნივთების ამოსაშრობლად, თითო ათი ...ფუთი წონით, სულ ოცი ფუთი, ორ-ორი მა-...თი და თხუთმეტი შაური ფუთზე. 55. მ.

7) ჭურჭელი სხვა და სხვა ზეთების რეაგენტებთან ასარევლად, მილი წყლისთვის, საწორები და სხვა გვარი ჭურჭლები. 250 მ.

8) ორთქლის ქვაბი ყველა თავის კუთვნილებებით 150 მ.

9) ამური ყველა ფეჩებისთვის და გასადნობლებისთვის საჭიროა 50,000 მტუგა, ხუთი მ. ათას ცალზე.

10) მუშაობა და დაწყობა ფეჩებისა, ქვიშისა და სხვა და სხვ. ამგვარებისა 100 მ.

11) ქარხანების შენობა, სადგომი მუშებისთვის, სარაიები და სხ. 450 მ.

12) ჟერეთ უცოდინარ გასავლები ჩავაგდოთ 257 მ. 50 კ.

---

სულ შეადგენს 2200 მ.

წამოსავალი ქარხნის შესამუშავებლად სხვა და სხვა ნივთებისა.

ერთ ზემოთ მოხსენებულს ქარხანებთაგანი შეიმუშავებს წელიწადში 5000 ფუთ ფისსა, 5200 ფუთ. სკიპიდარსა, 5000 ვედრა კუპრის წყალს, რამდენსამე ას ფუთ გოგირდს და სხ. და სხ. ხუთი ათასი ფუთი ფისიდგან 2500 [ორი ათას ხუთასი) ფუთი წავა წასასმელი ზეთის მოსამზადებლად, დანარჩენი 2500 ფუთი სავაგონე საცხებ ზეთის მოსამზადებლათ.

1. ზემოხსენებული ხუთი ათასი ფუთი ფისიდგან მიიღებენ შემდეგ მასალებს.

1) საცხები ზეთი смазочное масло] 33 % 2500 ფუთიდგან 850 ფუთი.

2 ვაგონების წასასმელი წამალი 50 % „2500„—150

3 პეკოვის ზეთი (пековое масло) 15% „ 250 ... 375 ფუთი.

4] წმინდა სკიპიდარი...12%...500 600 ფ.

5] ძმრის სიმჟავე 10%...5000...500 ფ.

6] კრეოზოტოვის ფისი 12½%...5000... 625 ფ.

7) კოკოცი... 4%...50 ... 200 ფ.

---

სულ შეადგენს 4400 ფუთს

II. 2500 [ორი ათას ხუთასი) ფუთი სკიპიდარიდგან მიიღება:

1] სალამფე ზეთი 65%...1625 ფ.

2] მწვანე სკიპიდარი ... 10% ... 250ფ.

3] კრეოზოტოვის ზეთი 20% ... 500 ფ.

---

სულ ... 2375 ფუთი.

III. 5000 (ხუთი ათასი) ვედრა კუპრის წყლიდგან მიიღება:

1) ხეხილის სპირტი ... 25 ფ.

2) ძმრის სიმჟავე ... 125 ფ.

---

შენიშვნა. ამასთან კიდევ მიიღება კრეოზოტი.

IV ხუთასი ფუთი გოგირდისგან მიიღება სამას ორმოცდა ათი ფუთი წმინდა, აქედგან შეიძლება მოამზადეს შვიდას ფუთამდე ლაქი лаку ამ პროდუქტების გასაკეთებლად მოუნდება სოდა, კირი, გოგირდის სიმჟავე და შეშა, როგორც ქარხნისთვის, ისე კიდევ მუშების სადგომის გასათბობლად. სოდა და გოგირდის სიმჟავე მოუნდება 750 ფუთი შეშა 200 კუბ. საჟ, კირი 3000 ფუთი.

---

## გასავლები ქარხნისა.

| № | რიცხვი ფუთისა | წოდება საგნებთა | ფასი ფუთისა მან. | კაპ. | საზოგადო ჯამი მან. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 750 | წიდა მიტანით | 2 | „ | 1500 |
| 2 | 750 | გოგირდის სიმჟავე | 1 | 60 | 1200 |
| 3 | 200 | შეშები | 2 | 75 | 550 |
| 4 | 300 | კირისა | „ | 15 | 450 |
| 5 | 5000 | ფისი უბაყოდ | „ | 35 | 1750 |
| 6 | 5200 | სკიპარდი | 1 | „ | 2000 |
| 7 | 5000 ვედრა | კუპრიანი წყალი | „ | 15 | 750 |
| 8 | 500 | გოგირდი | „ | 40 | 200 |
| 9 | „ | ბაჟი 5000 ფუთ. ფისიდგან | „ | 10 | 500 |
| 10 | „ | „ 2500 „ მწვანე სკიპიდარიდგან. | „ | 30 | 750 |
| 11 | „ | „ 5000 „ ვედრ. ფისიანი წყალ. | „ | 1 | 50 |
| 12 | „ | „ 500 ფ. გოგირდი | – | 20 | 100 |
| 13 | 4 | ჯამაგირი მუშებს, თითოს 180 მ. წელიწ. | 180 | „ | 200 |
| 14 | „ | ტეხნიკს | „ | „ | 1200 |
| 15 | „ | ქარხნის კონტორის შესანახავად გასანათლებლად და სხ. ამ გა-რებისთვის | „ | „ | 300 |
| 16 | „ | მოგება 2200 მ. დასათვარკად, რომელიც გავიდა ქარხნის შენებაზე. | „ | 10% | 220 |
| 17 | „ | სამუშაო თანხა 5000 მ. | „ | 10% | 500 |
| 18 | „ | რემონტი, ტვირთვა ქარხნისა და სხვა მასალა, რომელიც შემდეგში მოვგვლის. | „ | „ | 1500 |
| | | სულ | | | 14,920 |

## შემოსავალი ქარხნისა

| № | რიცხვი ფუთისა. | წოდება ნივთებისა | ფასი ფუთისა მან | კაპ. | საზოგადო ჯამი მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 850 | წასასმელი ზეთი | 5. | » | 4250 | „ |
| 2 | 1250 | ურმის თვლის სასმელი ზეთი | 6 | „ | 7500 | „ |
| 3 | 375 | ხუ"კოვის ზეთი | 1 | 20 | 450 | „ |
| 4 | 600 | წმინდა ფისის სკიპიდარი | 1 | 75 | 1050 | „ |
| 5 | 500 | სუსტი ძმრის სიმჟავე | „ | 25 | 125 | „ |
| 6 | 625 | კრეოზოტის ფისი | „ | 20 | 125 | „ |
| 7 | 200 | კოქსი | | | 20 | 40 |
| 8 | 1725 | სალამბე ზეთი | | | 2 | 5250 |
| 9 | 240 | მწვანე სკიპიდარი | | | 25 | 31დ 50 |
| 16 | 890 | კრეოზოტის ზეთი | | | 75 | 345 |
| 11 | 25 | ხეხილის სპირტა | | | 4 | 00 |
| 12 | 125 | ძმრის სიმჟავე შაქარისა და წმინდა | | | 6 | 450 |
| 13 | 700 | ლაქი | | | 4 | 2800 |
| | | სულ | | | 21,137 | 6 |

*Дозволено ценз Тифлисъ, 22 Іюля 1873г.*

მეფისაშვილის და ამხ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.